



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში

შპს-ის „ტექნო ზუმი“

(საიდენტიფიკაციო კოდი N205286199)

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი

2019 წლის 30 სექტემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	9
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	10
ფულადი საბარების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	11
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში.....	12
განმარტებითი შენიშვნები.....	13
5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	17
7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	19
მმართველობითი ანგარიში.....	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტექნოზუმის“ მინიშნება

მოდერნიზებული უარყოფითი მოსაზრება

2019 წლის 06 სექტემბრის 06/09/19 ხელშეკრულების საფუძველზე ჩავატარეთ შპს-ის „ტექნო ზუმი“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის აუდიტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის საფუძვლებზე შესაბამისად.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), მისი საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობას, კაპიტალში ცვლილებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ განმარტებით შენიშვნებს.

„გარდა უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ აზნაფი განხილული საკითხისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, რომელიც დათარიღებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), მისი საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობას, კაპიტალში ცვლილებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველის“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, **უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს** შპს „ტექნო ზუმის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას, **ფუნქციონირებადობას**, მსს-ფას შესაბამისად, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით,

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია და ვასკვნით, რომ წარმოდგენილი საკითხები არსებითი და ყოვლისმომცველიც კერძოდ:

1) საწარმოს ფუნქციონირებადობის პრობლემა

- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიის, ფინანსური მდგომარეობას შეექმნა არასტაბილური ვითარება, რაც განაპირობა ეროვნული ბანკის მიერ განვადებებზე გამოცხადებულმა მონოტორიუმმა. შესაბამისად, აღნიშნულმა პირდაპირ პროპორციულად იმოქმედა კომპანიის გადახდის უნარობაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიამ საანგარიშეგო წელი დაასრულა მშენიშვნელოვანი ზარალით.
- შვილ კომპანიას დაარსების დღემდე არ განუხორციელებია რაიმე სახის აქტივობა, ეკონომიკური საქმიანობა.
- 2019 წლის 30 იანვრის დედა კომპანიის მიმართ გახსნილია გადახდისუუნარიანობის საქმე.
- დედა კომპანიის მიმართ მიმდინარე სასამართლო პროცესი, დასაბუთებულ ეჭვს ზადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აგრეთვე, საგულისხმოა შეფასება სამეურნეო სუბიექტის უნარის შესახებაც, რომ ის შეძლებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში თავისი აქტივების გაყიდვას და ვალდებულებების დაფარვას.

2) არსებობა

- ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ

შთაბეჭდილებას, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება, როგორც აღწერილია ზემოთ - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველის“ - ნაწილში, კომპანიის ფუნქციონირებადობა განუსაზღვრელია, და შესაძლებელია კრედიტორების მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდეს დედა კომპანიის გაკოტრების რეჟიმში გადასვლა.

- ჩვენი მოსაზრებით, რომ, ამავე მიზეზის გამო, არსებითად მცდარია ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, რადგან არის იმის ალბათობა რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს, ფუნქციონირებადობის, არასრულ ან არსებით უზუსტობების რისკს.

დასკვნის შედგენის საფუძვლები

აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩემი პასუხისმგებლობა აღწერილია მოცემულ ანგარიშისთავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა“. „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ (IESBA) თანახმად, მე დამოუკიდებელი ვარ „კომპანიისგან“, მკაცრად ვიცავ აღნიშნული კოდექსის (IESBA) სხვა ეთიკურ ნორმებს და მიმაჩნია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს დასკვნისთვის საკმარის საფუძველს. ამასთან, მინდა ავღნიშნო, რომ როგორც ფინანსური ანგარიშგების, ასევე, მმართველობითი ანგარიშგების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებისას სრულად იქნა გაანალიზებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის მოთხოვნები.

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება)

სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას. წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას.

ჩვენი მოვალეობაა გავეცნოთ ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ მმართველობით ანგარიშგებას და გამოვთქვათ მოსაზრება:

- მასში ასახული ინფორმაცია სრულად შეესაბამება თუ არა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, და თანხვედრაშია თუ არა, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებზე

შპს-ის „ტექნო ზუმი“ და შპს „აღმამუნებელი დეველოპმენტ“ მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისმე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური

არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს, რომელიც ავსახე „უარყოფითი მოსაზრების საფუძველში“.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩემი მიზანია, პროფესიული მსჯელობისა და სკეფტიციზმის შენარჩუნებით, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოვიპოვო დასაბუთებული რწმუნება წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას, მათ შორის, გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით და გამოვთქვა მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა თუმცა არ იძლევა სრულ გარანტიას, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ყველა არსებით უზუსტობას. უზუსტობები შესაძლებელია გამოწვეული იყოს შეცდომით ან თაღლითობით და არსებითად მიიჩნევა, რომ ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს (თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულს), ვგეგმავთ და ვატარებთ რისკებზე რეაგირებისათვის გამოიზნულ აუდიტორულ პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რაც საკმარისი და შესაფერისი იქნება მოსაზრების გამოთქმისათვის.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული პროცედურები არ არის გარანტია იმისა, რომ არ არსებობს რისკი შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეული უზუსტობისა.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოგვაქვს დასკვნა არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა საწარმოს ფუნქციონირებადობას. რომელიც ავსახე „უარყოფითი მოსაზრების საფუძველში“.

წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასდება მთლიანობაში მისი სტრუქტურის, შინაარსის და ახსნა განმარტებითი შენიშვნების გათვალისწინებით. ასევე დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

შპს ელკო აუდიტი

მუხრან ქამადაძე / სერთიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-760457

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-501962

2019 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასდება მთლიანობაში მისი სტრუქტურის, შინაარსის და ახსნა განმარტებითი შენიშვნების გათვალისწინებით. ასევე დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

შპს ელკო აუდიტი

მუხრან ქაძადაძე / სერთიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-760457
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-501962

მ. ქაძადაძე

2019 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2018
დასახელება		
ამონაგები		23 348 700
არასაოპერაციო შემოსავალი		464 543
სხვა საოპ. შემოსავლები		128 330
უცხ. მომწ. მიღებ. კრედიტ ნოტა		196 776
სხვა შემოსავალი		901
		-
სულ შემოსავალი		24 139 252

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18 991 549
რეკლამა და მარკეტინგი	1 060 932
იჯარის ხარჯი	1 523 307
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	2 118 850
ცვეთა და ამორტიზაცია	188 578
საპროცენტ ხარჯი	4 171 079
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	3 951 192
ფინანსური დანახარჯები	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	32 005 487
მოგების გადასახადი	21 368
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	32 026 855
ზარალი	7 887 603

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს:

შპს „ტელნო ზუმის“

დირექტორი

/ ეთერ ქოქოლაძე /

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

/ თენგიზ ნაგერვაძე /

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	31.12.2018
ამონაგები		23 348 700
არასაოპერაციო შემოსავალი		464 543
სხვა საოპ. შემოსავლები		128 330
უცხ. მომწ. მიღებ. კრედიტ ნოტა		196 776
სხვა შემოსავალი		901
		-
სულ შემოსავალი		<u>24 139 252</u>

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18 991 549
რეკლამა და მარკეტინგი	1 060 932
იჯარის ხარჯი	1 523 307
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	2 118 850
ცვეთა და ამორტიზაცია	188 578
საპროცენტ ხარჯი	4 171 079
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	3 951 192
ფინანსური დანახარჯები	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	<u>32 005 487</u>
მოგების გადასახადი	21 368
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	<u>32 026 855</u>
ზარალი	<u>7 887 603</u>

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს:

შპს „ტექნო ბუმის“

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი




/ ეთერ ქოქოლაძე /

/ თენგიზ ნაგერვაძე /

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	ზეგონები	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ეკვივალენტები		378 927	1 040 008
სავაჭრო მოთხოვნები		1 893 155	3 984 915
მიმდინარე მარაგები		12 131 408	19 059 618
გაცემული სესხები	3,1	536 767	265 797
სხვა მიმდინარე აქტივები		538 612	466 824
<u>მიმდინარე აქტივები</u>		<u>15 478 869</u>	<u>24 817 162</u>
სხვა არამატერიალური აქტივი		317	251 873
ძირითადი საშუალებები		592 235	703 529
<u>გრძელ ვადიანი აქტივები</u>		<u>592 552</u>	<u>955 402</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>16 071 421</u>	<u>25 772 564</u>
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		15 299 281	12 165 803
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		985 918	1 506 123
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		17 077 630	21 462 464
<u>მოკლე ვადიანი ვალდებულებები</u>		<u>33 362 829</u>	<u>35 134 390</u>
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4,1	6 838 277	6 880 256
<u>გრძელ ვადიანი ვალდებულებები</u>		<u>6 838 277</u>	<u>6 880 256</u>
სულ საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		103 910	103 910
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(24 233 595)	(16 345 992)
<u>კაპიტალი</u>		<u>(24 129 685)</u>	<u>(16 242 082)</u>
<u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>		<u>16 071 421</u>	<u>25 772 564</u>

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს:

შპს „ტექნო ზუმის“

დირექტორი

/ ეთერ ქოქოლაძე /

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

/ თენგიზ ნაგერვაძე /

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ეკვივალენტები		378 927	1 040 008
სავაჭრო მოთხოვნები		1 893 155	3 984 915
მიმდინარე მარაგები		12 131 408	19 059 618
გაცემული სესხები	3,1	536 767	265 797
სხვა მიმდინარე აქტივები		538 612	466 824
მიმდინარე აქტივები		15 478 869	24 817 162
სხვა არამატერიალური აქტივი		317	251 873
ძირითადი საშუალებები		592 235	703 529
გრძელ ვადიანი აქტივები		592 552	955 402
სულ აქტივები		16 071 421	25 772 564
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		15 299 281	12 165 803
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		985 918	1 506 123
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		17 077 630	21 462 464
მოკლე ვადიანი ვალდებულებები		33 362 829	35 134 390
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4,1	6 838 277	6 880 256
გრძელ ვადიანი ვალდებულებები		6 838 277	6 880 256
სულ საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		103 910	103 910
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(24 233 595)	(16 345 992)
კაპიტალი		(24 129 685)	(16 242 082)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16 071 421	25 772 564

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს:

/ ეთერ ქოქოლაძე /

/ თენგიზ ნაგერვაძე /

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2017	2018
წმინდა ფულადი სახსრები საისტრაციო საქმიანობიდან	2,503,786	(573,725)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	431,395	175,600
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(2,596,134)	(266,156)
საფინანსო კერძის ეფექტი		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულს ეკვივალენტებში	339,050	(661,081)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	700,956	1,040,006
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,040,006	378,927

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს;

შპს „ტექნო ზუმის“

დირექტორი

/ ეთერ ქოქოლაძე /

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

/ თენგიზ ნაგერვაძე /

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	2017	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,503,786	(573,725)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	431,398	178,800
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(2,596,134)	(266,156)
სავალუტო კურსის ეფექტი		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	339,050	(661,081)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	700,958	1,040,008
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,040,008	378,927

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019
წლის 30 სექტემბერს:

შპს „ტექნო ბუმის“

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



თენგიზ ნაგერვაძე /

თენგიზ ნაგერვაძე /

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

დასახელება პერიოდი	საექვი კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალი", კოორპირაციის შემთხვევაში "საპროექტიკაპიტალი")	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	ბირთიადი სამუდამების გადაწყვეტის რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	103,910	(7,909,560)	6,686,190	(1,179,460)
მოგება / (ზარალი)		(7,027,043)		
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	103,910	(14,996,603)	6,686,190	(8,296,503)
მოგება / (ზარალი)		(1,349,309)	(6,686,190)	(8,035,579)
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	103,910	(16,345,992)	-	(16,242,082)
მოგება / (ზარალი)		(7,657,603)		(7,887,603)
დივიდენდის გამოცხადება				
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	103,910	(24,233,995)	-	(24,129,685)

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს:

შპს „ტექნო ზუმის“

დირექტორი

/ ეთერ ქიქოლაძე /

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

/ თენგიზ ნაგერვაძე /

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

დასახელება პერიოდი	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის მოგება / (ზარალი) დივიდენდის გამოცხადება	103,910	(7,969,560) (7,027,043)	6,686,190	(1,179,460)
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის მოგება / (ზარალი) დივიდენდის გამოცხადება	103,910	(14,996,603) (1,349,389)	6,686,190 (6,686,190)	(8,206,503) (8,035,579)
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის მოგება / (ზარალი) დივიდენდის გამოცხადება	103,910	(16,345,992) (7,887,603)	-	(16,242,082) (7,887,603)
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	103,910	(24,233,595)	-	(24,129,685)

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს:

შპს „ტექნო ბუმის“

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



/ ეთერ ქოქოლაძე /

/ თენგიზ ნაგერვაძე /

**შპს „ტექნო ზუმი“ 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების შესახებ**

1. ზოგადინფორმაცია

- 1.1. **ინფორმაცია კომპანიის შესახებ:** - შპს „ტექნო ზუმი“ წარმოადგენს ერთი პირის საწარმოს რომელიც, დაფუძნებულია 2009 წლის აგვისტოში, საწარმოს 100 %-იანი წილის მფლობელი და დამფუძნებელია ემზარ ქოქოლაძე (პ/ნ #61006008930)
- 1.2. საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 1.3. საწარმოს იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი 30ა, თბილისი, საქართველო. საწარმოს სათაო ოფისი მდებარეობს დადავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კ.მ;
- 1.4. შპს „ტექნო ზუმის“-ის ძირითადი საქმიანობაა: საოჯახო საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტი რეალიზაცია, და რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.
- 1.5. საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშგალდებულება;
- 1.6. **საწარმოს გააჩნია შეიღობილი და შეკავშირე საწარმოები;**
შპს „აღმაშენებელი დეველოპმენტ“ რომელიც დარეგისტრირდა 2017 წლის 13 თებერვალს, კომპანიას დაარსების დღიდან დრემდე არაწარმო ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია
- 1.7. საწარმოს სტრუქტურა - საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები: საფინანსო, კომერციული, იურიდიული და ადმინისტრაციული განყოფილებები; შიდა მონიტორინგის სამსახური;
- 1.8. შპს „ტექნო ზუმი“ ვერ აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს, რადგან იმყოფება გადახდისუნარო რეჟიმში, 2019 წლის 30 იანვარს შპს „ტექნო ზუმის“ მიმართ გახსნილია გადახდისუნარობის საქმე.

2. მნიშვნელოვანი მოვლენები:

2.1. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს რეორგანიზაცია არ მომხდარა. ხოლო 2019 წლის 30 იანვარს კომპანიის მიმართ გახსნილია გადახდიისუუნარობის საქმე.

2.2. სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცვლილებები:

- ✓ საანგარიშგებო პერიოდი, საბანკო რეგულაციებიდან გამომდინარე კომპანიისათვის იყო წამგებიანი. კომპანიას სხვადასხვა მიმართულებით შეექმნა ფუნქციონირებადობის რისკი, რომლის გადაჭრის გზებზე მუშაობს მენეჯმენტი.
- ✓ არსებული გარემოებიდან და ეკონომიკური რეგულაციებიდან გამომდინარე, მიმდინარე პერიოდში დაიხურა არარენტაბელური მაღაზიები

2.3. ფინანსური ანგარიშგების პაკეტი:

- ✓ ფინანსური ანგარიშგება შედგენილია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარდგენილია 'ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოცულობით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმით;

- ✓ წარდგენილი ანგარიშგება მოიცავს:

- ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბუღალტრულ ბალანსს);
- ანგარიშგებას საქმიანობის შედეგების შესახებ;
- ანგარიშგებას ფულადი ნაკადების შესახებ;
- ანგარიშგებას საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- მმართველობის ანგარიშგებას;
- წინმდებარე განმარტებით შენიშვნებს;

- ✓ ფინანსური ანგარიშგება ეხება ერთ საწარმოს შპს-ს „ტექნო ზუმი“;

- ✓ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია 2018 წლის 31 დეკემბერი და მოიცავს 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდს;

- ✓ წარსადგენი ვალუტაა ეროვნული ვალუტა - ლარი;

- ✓ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები დამრგვალებულია 1 ლარამდე;

2.4. ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

- ✓ საწარმომ საანგარიშგებო პერიოდში, მსს ფასს-ის მე-8 განყოფილების შესაბამისად შეიმუშავა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება სტანდარტის შეფასებებსა და დაშვებებს, საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით;

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენის გაადვილების მიზნით საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით გათვალისწინებულია ბუღალტრულ აღრიცხვაში დამატებითი სინთეზური ანგარიშებისა და სუბ-ანგარიშების გახსნა;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

- 3.1. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;
- 3.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;
- 3.3. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.
- 3.4. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელსაც საწარმო იყენებდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში.
- 3.5. ღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა და საწარმოს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

4. განმარტებითი შენიშვნები ანგარიშგებაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ

- 4.1. ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ შედგენილია მსს ფასს-ის მე-2, მე-4 და მე-11 განყოფილებების შესაბამისად;
- 4.2. ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით:
 - ✓ მოთხოვნები გაცემული სესხიდან და სასესხო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში ასახულია რეალური ღირებულებით, გაცემული და მიღებული სესხის თანხით;

- ✓ სასესიო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ასახულია რეალური ღირებულებით, საკურსო სხვაობის შედეგების მოგება-ზარალში ასახვით

გაცემული სესხები:

- ✓ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის საწარმოს ნაშთად ერიცხებოდა გაცემული სესხები საერთო თანხით - 265797 ლარი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 536767 ლარი. სესხი გაცემულია 2012 წლის 21 სექტემბერს 143000 ლარი, რომელიც გენერალური ხელშეკრულების თანახმად იცვლება პერიოდულად, სესხი გაცემულია უზრუნველყოფის გარეშე.

1830-01		გაცემული სესხები	536,768	265,797
C324291	შპს "სპარკი" (სესხი USD)		286,568	265,797
C233967	შპს "სპარკი" (სესხილარი)		250,200	

4.3. საწარმოს გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები;

- ✓ შპს „აღმაშენებელი დეველოპმენტ“ რომელიც დარეგისტრირდა 2017 წლის 13 თებერვალს, კომპანიას დაარსების დღიდან დრემდე არანაირი ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია

4.4. მარაგების აღრიცხვისათვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი.

4.5. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საწარმო იყენებს თვითღირებულების განსაზღვრის „საშუალო შეწონილ“ მეთოდს;

4.6. საკანცელარიო დანიშნულების მარაგები შესყიდვისთანავე აღიარდება ხარჯად;

4.7. სამეურნეო დამხმარე ტარა/მასალებს, ფაქტიური ხარჯის მიხედვით;

4.8. მოძველებული და ძნელად სარეალიზაციო მასალები ექვემდებარება ჩამოფასებას, ხოლო დაზიანებული და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მარაგები ჩამოიწერება. გაუფასურების თანხა მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ზარალს;

4.9. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს მსს ფასს-ის მე-17 გნყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი, ხოლო უსასყიდლოდ მიღებული აქტივები რეალური ღირებულებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები ასახულია საბაზრო ღირებულებით, საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა;

- 4.10. საწარმოს რეორგანიზაცია საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა, 2 019 წლის 30 იანვარს კომპანიის მიმართ გახსნილია გადახდისუუნარობის საქმე.
- 4.11. დედა საწარმოს იჯარით აქვს აღებული არასაცხოვრებელი ფართები:
- 4.12. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ფინანსური იჯარისა და უკუიჯარის გარიგებები არ ჰქონია.

5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

5.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების კვეთვალენტები აისახა ცალ-ცალკე.

	2017	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,503,788	(573,725)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	431,395	175,500
წმინდა ფულადი სახსრები წამყვანი საქმიანობიდან	(2,596,134)	(266,156)
სავალდებო კურსის ეფექტი		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	339,050	(664,381)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დისპოზიში	700,955	1,040,005
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,040,005	375,627

- 5.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;
- 5.4. საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა თვითღირებულების მოდელით, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;
- 5.5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია გამიჯნულად ძირითადი საშუალებების სახით;
- 5.6. 2017 წელს შეძენილი საინვესტიციო ქონება და ადრე შეძენილი ქონება აღრიცხულია – თვითღირებულებით. მათი გადაფასება საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა.
- 5.7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები: - შესყიდული მარაგები აღრიცხება თვითღირებულებით.

- 5.8. დაუშთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.
- 5.9. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით;
- 5.10. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი დისტრიბუციის სატვირთო ავტოფურგონებზე ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.
- 5.11. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.
- 5.12. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;
- 5.13. ძირითადი საშუალებები: - ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;
- 5.14. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე
- 5.15. არამატერიალური აქტივები; საწარმოს გააჩნია არაარსებითი ღირებულების არამატერიალური აქტივები;
- 5.16. სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები; დედა კომპანიის გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები იდენტურია კონსოლიდირებულ მონაცემებში რადგან შვილობილი კომპანიას არ განუხორციელებია არანაირი საქმიანობა შესაბამისად არ გაააჩნია სხვა ვალდებულებები.

ნომერი	დასახელება	სარგებლის %	საბოლოო ბალანსი (ლარი)
1	შპს "ჯი ეიჩ ჯგუფი" - სესხი USD	18	936,810
2	შპს "ნათელი 2012"	18	214,128
3	ISBANK Gel სესხი	11	1,523,466
4	შპს რეალთი ჯორჯია	11	219,000
5	შპს ბათუმეკპრობა	11	3,711,911
6	შპს სილქნეტი მიზნობრივი სესხი	1	1,718,087
7	შპს სერვის ექსპრეს + სესხი	20	61,402

ფიზიკური პირების მიერ აკუმულირებული კრედიტები შეადგენს 15531104 ლარი.

5.17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის

ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად, სავაჭრო ვალდებულებები;

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო ვალდებულებების ზრდა 1,845,024 ლარით არის დაფიქსირებული.

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

- 6.1. შემოსაულები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- 6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსაულები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);
- 6.3. საწარმო მოგების გადასახადით იზეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაზეგერის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს. მის ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. , საწარმომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.
- 6.4. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ: -შვილობილ კომპანიას არ განუხორციელებია ეკონომიკურის საქმიანობა შესაბამისად საქმიანობის შედეგის ანგარიშში ასახულია დედა კომპანიის მონაცემები

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

- 7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამოყენულადა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;
- 7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწვიდან, შვილობილ კომპანიას არ განუხორციელებია

ეკონომიკურის საქმიანობა შესაბამისად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში
ასახულია დედა კომპანიის მონაცემები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,040,008
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრები მიღებული შედეგებისგან	23,269,753
ფულადი სახსრების გასაცემი:	
სასაქონლო მარაგების შესყიდვა	(12,906,181)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(446,916)
ხელფასები	(1,677,832)
ანგარიშვალდებული პირები	(881,056)
საკონტრაქტაციო და საპროექტო ხარჯი	(3,948,588)
მიღებული აგანგები	-
გადახდილი გადასახადები	(3,982,906)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(573,725)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების შემოსავალი:	
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის	
გაცემული სესხების დაფარვა	178,800
დარიცხული მოთხოვნები	-
ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) გამოშვება	-
ფულადი სახსრების გასაცემი:	
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	
სესხების გაცემა	-
ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	178,800
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების შემოსავალი:	
აქციების გამოშვება	-
სესხების აღება	20,141,898
ფულადი სახსრების გასაცემი:	
აქციების გამოსყიდვა	-
სესხების დაფარვა	(20,408,054)
დოვიდენდების გაცემა	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(266,156)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(661,081)
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	378,927

7.3. საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახდო კალდებულებების
დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

- 7.4. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები - როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია;
- 7.5. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

- 8.1. 2018 წელს საწარმოს კაპიტალში, როგორც დედა ასევე შვილ კომპანიაში პარტნიორობა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის კონსოლიდირებული მონაცემები იდენტურია დედა კომპანიის მონაცემებისა, რაც შეადგენს 103910 (ასამაიათასცხრაასათი) ლარს.
- 8.2. საანგარიშგებო პერიოდში კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი დასრულდა ზარალით, დედა კომპანიის ფინანსური შედეგი იდენტურია კონსოლიდირებული ფინანსური შედეგისა, რადგან შვილ კომპანიას არ განუხორციელებია ეკონომიკური საქმიანობა.

9. დასკვნითი ნაწილი

- 9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 30 სექტემბერს;
- 9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

შპს „ტექნო ბუმის“

დირექტორი

/ ეთერ ქოქოლაძე /

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

/ თენგიზ ნაგერვაძე /

- 7.4. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები - როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია;
- 7.5. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

- 8.1. 2018 წელს საწარმოს კაპიტალში, როგორც დედა ასევე შვილ კომპანიაში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა და საანგარიშგებოპერიოდის ბოლოსათვის კონსოლიდირებული მონაცემები იდენტურია დედე კომპანიის მონაცემებისა, რაც შეადგენს 103910 (ასამაიათასცხრაასათი) ლარს.
- 8.2. საანგარიშგებო პერიოდში კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი დასრულდა ზარალთ, დედა კომპანიის ფინანსური შედეგი იდენტურია კონსოლიდირებული ფინანსური შედეგისა, რადგან შვილ კომპანიას არ განუხორციელებია ეკონომიკური საქმიანობა.

9. დასკვნითი ნაწილი

- 9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 30 სექტემბერს;
- 9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

შპს „ტექნო ბუმის“

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი .



/ ეთერ ქოქოლაძე /

/ თენგიზ ნაგერვაძე /

მმართველობითი ანგარიში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

- დედა კომპანია დაფუძნებულია 2009 წლის 31 აგვისტოს
- ხოლ შვილი კომპანია 2017 წელს

2. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

- 2.1. დედა კომპანია ფლობს საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიას ქსელს საქართველოში. მისი ძირითადი საქმიანობაა: ვაჭრობა, საქონლის იმპორტი და რეალიზაცია/დისტრიბუცია, გაყიდვები ხორციელდება კომპანიის მაღაზიებიდან, ან ბითუმად ოფიციალური დილერებისა და ფრანჩიზის მფლობელების მეშვეობით, და სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.
- 2.2. ხოლო შვილ კომპანიას არ განუხორციელებია ეკონომიკური საქმიანობა.
- 2.3. შპს „ტექნო ბუმი“ წარმოადგენს მსოფლიოში წამყვანი ბრენდების დისტრიბუტორ კომპანიას საქართველოში, მისი მიზანია მომხმარებელს შესთავაზოს მრავალფეროვანი არჩევანი და ყველაზე დაბალი საცალო და საბითუმო ფასები.
- 2.4. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ტექნო ბუმი“ რეგისტრირებულია საოჯახო საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტი/რეალიზაცია საწარმოდ.
- 2.5. საქმიანობის ჩამონათვალი სრულად რასაც ეწევა -ფაქტობრივად საანგარიშგებო პერიოდში საწარმო ძირითადად ახორციელებდა საოჯახო საყოფაცხოვრებო ტექნიკის იმპორტი რეალიზაცია.

3. საწარმოს მონაწილეობას ხვასზოგადლებაში

- 3.1. საწარმოს გააჩნია წილი სხვა საწარმოში, შესაბამისად გააჩნია შვილობილი საწარმო

- ✓ შპს „ალმაშენებელი დეველოპმენტ“ რომელიც დარეგისტრირდა 2017 წლის 13 თებერვალს, კომპანია ს დაარსების დღიდან დრემდე არანაირი ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია

4. საწარმოს სტრუქტურა

- 4.1. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად დედა კომპანიას გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:
- 4.2. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანიამ 2010 წლის ივლისში გახსნა ახალი ტიპის საცალო-საბითუმო ფორმატის ცენტრი თბილისში, რაც სიახლე იყო იმ პერიოდისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე
- 4.3. კომპანიის ამოცანა იყო სავაჭრო ქსელის გაფართოება, რაც მიზნად ისახავს, ფილიალებს საქართველოს ყველა დიდ ქალაქსა და რაიონში. ამ მიზნის მისაღწევად კომპანია 2 მიმართულებით მუშაობდა: ა). თვითონ ხსნიდა მაღაზიებს, ბ). ფრანჩაიზის წესით ხსნიდნ კომპანიის აქტიური დილერები, სადაც ყველა სტანდარტი იგივე არის რაც ტექნო ზუმის მაღაზიების შემთხვევაში, ამის მონიტორინგს ტექნო ზუმი ახდენდა და ახდენს უწყვეტ რევიმში. უფრო მეტიც, ფრანჩაიზერების მენეჯმენტი და მაღაზიების მართვა ხდება ცენტრალიზებულად, ტექნო ზუმი-ს მენეჯმენტის მიერ.
- 4.4. 2011-2015 წლებში ეტაპობრივად ხდებოდა ქსელის გაფართოება, როგორც საკუთარი, ასევე ფრანჩაიზერების მაღაზიების გახსნის გზით.
- 4.5. 2018-2019 წლებში შპს „ტექნო ზუმი“ ეტაპობრივად მოახდინა არარენტაბელური (ეროვნული ბანის მიერ დაწესებული რეგულაციების, საფუძველზე შემცირდა საცალო გაყიდვები, რამაც გამოიწვია მაღაზიების არარენტაბელურობა) მაღაზიების ეტაპობრივად დახურვა.
- 4.6. დედა კომპანია სტრუქტურულად წარმოდგენილია შემდეგი სახით: გენერალური დირექტორი, საფინანსო, კომერციული, იურიდიული და ადმინისტრაციული განყოფილებები; შიდა მონიტორინგის სამსახური

5. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

- 5.1. მაკროეკონომიკური გადახრების და ეროვნული ბანკის რეგულაციების, ეროვნული ვალუტის კურსის არსებითი გაუფასურება რომელიც იწვევს კრიზისს, სხვადასხვა გარემუ და მიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობაზე. ამასთან, საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.
- 5.2. უფრო კონკრეტულად თუ ავხსნით პრობლემა არის შემდეგში - ლარის გაუფასურების შემდეგ იზრდება საქონლის გასაყიდი ფასი, გაზრდილი ფასი კი ზღუდავს ხელმისაწვდომობას. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ გარდა ტექნიკაზე გაზრდილი ფასისა ჩვენს პოტენციურ მომხმარებელს უჭირდება სხვა საქონლის და მომსახურების შეძენა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი მომხმარებლების უმეტეს ნაწილს გააჩნია სასესხო ვალდებულებები, რომლის ძირითადი ნაწილი აღებული აქვთ

დოლარში, ხოლო შემოსავლები აქვთ ლარში, შესაბამისად მნიშვნელოვნად ეზრდებათ სესხის მომსახურეობის ხარჯები, რაც თავის მხრივ იწვევს თავისუფალი ფულის შემცირებას, რომლითაც მომხმარებელს შეეძლო საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა.

- 5.3. საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. ამასთან, საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში მძაფრია კონკურენცია, რასაც საწარმო მეტნაკლებად უმკლავდება მარკენტიგული აქტივობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის ფართო ასორტიმენტის საქონლის მიწოდების ხარჯზე.
- 5.4. ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად მაღალია მარკენტიგული რისკები, რომელთა თავიდან აცილების მიზნით საწარმო მარკენტიგის, ეკონომიკური და ანალიზის სამსახურები სისტემატურად აანალიზებენ ქვეყნის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, მუშავდება რეკომენდაციები საწარმოს საქმიანობის ცალკეული სფეროს ნაწილობრივ შეზღუდვის ან გაფართოების, საქმიანობის შეჩერების ან ახალი მიმართულებების დანერგვის შესახებ.
- 5.5. საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად „ოკუპირებულია“ ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.
- 5.6. სოციალური პასუხისმგებლობა - ტექნო ზუმი, გარდა იმისა რომ პირდაპირ დასაქმებული ჰყავს 100 ადამიანამდე, ასევე სხვადასხვა მომსახურეობის ჭრილში დასაქმებულია ადამიანთა გარკვეული კონტიგენტი. კომპანიის ძირითადი პრიორიტეტია ახალგაზდებზე ზრუნვა და მათი განათლების თუ ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება.
- 5.7. შეილი საწარმოს არ განუხორციელებია ეკონომიკურის აქმიანობა შესაბამისად მისი ბიზნეს გარემოს ან რისკების შეფასება არამიზანსეწონილია.

6. კომპანიის სამომავლო გეგმები

- 6.1. შპს „ტექნო ზუმი“, გადახდის უუნაროების რეჟიმში, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესები, კომპანიის მენეჯმენტის ხედვა არის რომ მოხდება რეაბილიტაციის გეგმის შედგენა დამტკიცება კრედიტორების მიერ, რომლის შედეგადაც რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით გააგრძელებს სამომავლო საქმიანობას. შესაბამისად განვითარების სტრატეგია და დეტალურად აღწერილი იქნება რეაბილიტაციის გეგმაში. რომლის დამტკიცება უნდა მოხდეს. მენეჯმენტის სამომავლო ამოცანა სწრაფად, უზოკლეს დროში მოხდეს რეაბილიტაციის გეგმის დადგენა, და კმპანია დაუბრუნდეს ძველ რელსებს.

- 6.2. მომდევნო ერთი წელი, არ გეგმავს ქსელის გაფართოებას საკუთარი არსებული მაღაზიების ხარჯზე, კომპანია გეგმავს გაფართოვოს საქმიანობის სრული ასორტომინენტი.
- 6.3. ტექნო ბუმისთვის ყოველთვის პრიორიტეტი იყო და ამ პერიოდშიც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა კიდევ უფრო გავაფართოოთ ჩვენს ქსელში წარმოდგენილი საქონლის ასორტიმენტი, როგორც ახალი ბრენდების შემატებით, ასევე ჩვენს ქსელში არსებული ბრენდების სხვადასხვა კატეგორიის საქონლის გამრავალფეროვნებით.
- 6.4. 2017-2018 წლების კურსის ცვალებადობამ მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია კომპანიაში და ამ წლებში კომპანიის მიერ დაფიქსირებული ზარალის უდიდესი წილი მოდის საკურსო სხვაობით გამოწვეულ ზარალზე. ამ და სხვა პრობლემებმა 2019 წლის 30 იანვარს კომპანია გადაიყვანა გადახდისუუნაროების რეჟიმში
- 6.5. ამ სეგმენტისთვის ასევე მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან შემოღებული სხვადასხვა რეგულაციები ფიზიკური პირის დაკრედიტებისას. ტექნიკის სექტორში რეალიზაციებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საქონლის კრედიტით შეძენას, ე.წ. „განვადება“ს. საცალო გაყიდვების უდიდესი ნაწილი არის განვადებით რეალიზაცია. 2018 წელს მიღებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განვადებებით რეალიზაციაზე, რაც რატომღაც უარყოფითად ისახება კომპანიის შედეგებზე.

7. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების სრულყოფა, შიდა კონტროლის პროცედურები:

- 7.1. საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას ბუღალტერიის მეშვეობით ახორციელებს სპეციალურ კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.
- 7.2. მომდევნო საანგარიშო პერიოდში იგეგმება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის სრულყოფა;

8. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

- 8.1. საწარმოს კომერციული პარტნიორები და საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან არაბთა გაერთიანებული სამეფო, თურქეთის რესპუბლიკა, ჩინეთი და სხვა კომპანიების მოკლევადიანობა - “DIGITAL BOOM”; “FLAX”; “Irex”; “Muller”; “Present”;

“Prime”; “Prozenta”; “Ravanello”; “Rinox”; “Risser”; “TECHNO BOOM”; “Vagner”; “Vinus”; “Visser”; “Werber”; “Wiesner”; “Worldline”. და სხვა კომპანიები.

- 8.2. საწარმოს შესყიდული, დაპანტენტებული აქვს სასაქონლო ნიშნები - „TECHNO BOOM”; „DIGITAL BOOM”; „Prime; Present”; „Vagner;Flax”; „Ravanello”; „Prozenta”; „Risser”; „Rinox”; „Wiesner”; „Worldline”;

9. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 9.1. კონსულტანტები, გადაზიდვის სერვისის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამის სისპევ ტანსაცმლით;
- 9.2. შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.
- 9.3. კომპანია ანხორციელებს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

10. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- 10.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობასაანგარიშგებოპერიოდში 150 შეადგენდა.

საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 30 სექტემბერს;

შპს „ტექნო ბუმის“

დირექტორი

/ ეთერ ქოქოლაძე /

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

/ თენგიზ ნაგერვაძე /

„Prime“; „Prozenta“; „Ravanello“; „Rinox“; „Risser“; „TECHNO BOOM“; „Vagner“; „Vinus“; „Visser“; „Werber“; „Wiesner“; „Worldline“. და სხვა კომპანიები.

8.2. საწარმოს შესყიდული, დაპანტენტებული აქვს სასაქონლო ნიშნები - „TECHNO BOOM“; „DIGITAL BOOM“; „Prime; Present“; „Vagner; Flax“; „Ravanello“; „Prozenta“; „Risser“; „Rinox“; „Wiesner“; „Worldline“;

9. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 9.1. კონსულტანტები, გადაზიდვის სერვისის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამის სისპეც ტანსაცმლით;
- 9.2. შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.
- 9.3. კომპანია ანხორციელებს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

10. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

10.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობას ანგარიშგებოპერიოდში 150 შეადგენდა.

საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 30 სექტემბერს;

შპს „ტექნო ბუმის“

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



ეთერ ქოქოლაძე /

თენგიზ ნაგერვაძე /